# საქართველოს გაზეთი

სეკდემბრის იბ დღესა ჩყით წელსა თფილისში.

Но. 28.

## ს ა ნ კ ტ პ ე ტ ე რ ბ უ რ ღ ს

### უმაღლესი ბრძანება

ჩყით წლის ივლისის კბ რიცხვსა

მისს იმპერატორებითს სიმაღლეს დიდსა მთავარსა მიხაილ პავლეს ძესა ნება ჰსცემია მუსულად ასრულებასა მისა თვისისა თანამდებობისა არტილერიის ღენერალ - ფელდცეიხ-მეისტერის წოდებისაგამო.

### შინაგანი ამბავი

შემთხვევისაგამო შინაგანთა საქმეთა მინისტრის უფლის დეისტვიტელნის ტაინის სოვეტნიკის კოზოდაველევის გარდაცვალებისა მინისტრობა შინაგანთა საქმეთა უმაღლესად ჰრწმუნებია განსაკუთრებულად შემდგომად ბრძანებისამდე, სასულიეროთა საქმეთა და სახალხოსა განათლების მინისტრს უფალს ტაინის სოვეტნიკს თავადს გოლიცინს.

### უცხოთ ქვეყნის ამბავი.

ანგლიითგან

ლონდონს, გ ივლისში.

პრინცს რეგენტს უბოძებია სპარსეთის ელჩისათვის თავისი პორტრეტი (სახე) ალმასით მდიდრად მოოჭვილი, რომელიც ლურჯის ლენტით თვითვე მისს სიმაღლეს დაუკიდნია ელჩისათვის.

### შკრთული ამბავი

ყოველდღეობითი ღვინის გატანა ფრანციიდგან დღეს, საშუალო რიცხვი რომ ვჰსთქვათ, იქმნება ასოცის მილიონის ფრანკისა, (ესე იგი რუბლისა).

### მალონის გამოცხადება

ჩყით წლის სეკდემბრის. თ

ხერსონის გრანადერის პოლკის მაიორს რებინინს მოუხსენებია, რომ მისდამი ჰრწმუნებული იმავე პოლკის მესამე ბატალიონი გასულა რა თვისის ადგილიდგან სადაც ყოფილა დაბანაკებული ბორჯომის ხეობის ხიდისპირ და მწყრალად გარდუვლია რა მთა ქართლს მიმავალს ამ თვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველ რიცხვში, დამდეგარა დამე ხალხეს და-მახყანას. მაგრამ ხალხის ამის უფრო მოსვენ-ნივი და კეთილი თავადი მაშინვე ერისთავი მისლამა რჩეულებულის გორის უეზდის მარშლის თანამდებობის საქმეთაგამო მაშინ იქ არ დასწ-რებოდა და იდეს შეუძლია გზა, მაშინ სწრაფად მოპყვებოდა მაგალითს და ნიშნად განსხვავებუ-ლისა გულს-მოდგინებისა თვსისა რუსეთის მხედ-რობამთელში დასკვნა ყოველთა უმეტეს ოფიცე-რთა შესაფერის გამშვიდობა და ხალხთა შორის უპირა-ტესობის მიეცემა ერთად ხელმწიფის დროშისა და ხარ-ყის უღელისა.

ქსრვთისა გულს-მოდგინებისათვს თავადის მაშინვე ერისთავის მხედრობათაგანი მისის იმ-პერატორებითის დიდებულებისათვს ყოვე-ლნი უფროსი ოფიცერნი და სალდათნი მის მაი-ორის სერგისის გრენადერის პოლკისანი ამით უცხადებენ მას უმდაბლესსა მადლო-ბასა თვსსა.

ტფილისის სამოქალაქოს პოლიციისაგან არა ერთგზის განაცხადებით გამო ხედვების შემდგომად, ტფილისში მცხოვრებნი კიდევ არ აღასრულებენ თავიანთ ვალს, და პოლიციის უცნობელად ჰყავნე-ნ თავიანთ სახლებში სხვა და სხვას წოდების კაცნი, რომელთაც არა აქვსთ ადგილობითი მთა-ვრობათაგან მოწმობის წიგნები. ამისთვს საქარ-თველოს სამოქალაქოს გუბერნატორის თანამდე-ბობის აღმასრულებელი ვალად თვსა ჰრაცხს, რომე ქალაქის გაზეთით საყოველთაოდ გამოცხადოს გამოწვევა უმაღლესით ბრძანებათაგან ამა საქ-მისა ზედა რჩეულ წლის აგვისტოს კთ. და დეკემ-ბრის ივ. გამოცემულთა. პირველი სახლის პატ-რონებს ვალი აქვსთ რომ დაუყოვნებლად თვთ ამავე დროსვე აცნობებდენ პოლიციასა იმათთან მო-სრულთ კაცთათვს, და რომელნიცა არა აღასრულე-ბდენ ამას, იმათ გარდასახდებოდესთ პირველის შეუტყობლად გატარებულის ერთის დღისა და ღამისათვს, თვითეულის მოსრულისა და წარსრუ-ლის კაცისათვს ათათი რუბლი ასიგნაცია, მეო-რეს დღისა და ღამისათვს ოცი ოცი რუბლი, მესამისათვს ოცდა ათათი რუბლი ასიგნაცია, და ამ სახედ საფუძველსა ამას ზედა განამრავ-ლებდენ გარდასხდევინებასა თვითეულის დღისა და ღამისათვს და თვითეულის მოსრულისა და წარ-სრულისათვს ათათს რუბლსა.

მეორე სახლის პატრონებმა, რომელთაც დააყენონ უპასპორტო კაცი, ან გადაგ-დებული პასპორტიანი თვითეულის კაცისათვს გარდასახდებოდესთ ოცდა ხუთხუთი რუბლი თვითე-ულის დღისა და ღამისათვს იმ მდგმურის და-მყენებელს, და ამისი გარდასხდევინებაც ისე იმ სახედ უნდა განმრავლდებოდეს, როგორც პირველს მუხლში იყო მოხსენებული მოსრულთა კაცთათვს. მესამე ვალი სახლებში მოსრულთა და იქიდამ წარსრულთა კაცთა, და თვთ იმის აღუსრულებლობისა და გაქცეულთა კაცთა მიღე-ბისათვს ჯარიმა პირველისა და მეორის ლთ აგ-ვისტოს გამოსხულის უკაზის მუხლების ძალით სახლების პატრონებ-ზედ დადებული სრულის ძა-ლით განვრცელდება იმ მდგმურებზედაც, რო-მელნიც სახლებში იმყოფებიან; და ამას სახლის პატრონები თვითეულს იმათგანთაგანთან შეკ-რულ პირობაში უნდა მოიხსენებდენ, ან იმათ-ში ამ პასუხის გებას მდგმურს არ დასდებდენ და მაშინ მდგმურის მაგიერად იმ უკაზში მოხ-სენებულთა ჯარიმათა თვთ უნდა გარდიხდი-დენ.

საქართველოს კეთილ-შობილთ გუბერნსკის წინამძღომელის თავადის ბაგრატიონის მუხრანის პატრონისაგან იცხადების საცნობელად კეთილ-შო-

ბილთა, რომელ მისს მაღალ-აღმატებულებას საქართველოს უპირატესს მმართებელს და კავალერს ალექსეი პეტროვიჩს უნებებია წერილით ბრძანება ამ წლის ოკტომბრის გ. შემდგომისა ამის.

მოწყალესა შინა დროსა მისის მაღალაღმატებულების ამას ქვეყანასა შინა მთავრობისასა დარწმუნებულია რა იგი მრავალთა გამოცდილებათაგან, თუ ერთგვარითა გულს-მოდგინებითა და მეთოლ-ჯანზრახვითა საქართველოს კეთილ-შობილნი ეშურებიან მმართებლობისა მიყვანებასა ზედა მრავალთა ნაწილთა შინა დაწყობილებისასა, და დაუნახავს რა შემძლებელობაჲ მრავალთა და წოდილი მარგებელ-ყოფად სამსახურისადმი მისის იმპერატორებითის დიდებულებისა. მატეისადებულად ესრეთის კეთილ-შობილურისა მათისა გულს-მოდგინებისა ჰქონია მეცადინობაჲ მას უფლს უპირატესს-მმართებელს, რათა განწესებითა თანამდებობათა შინა მიეცა მათთჳს უმეტესი ხარისხი გულს-მოდგინებისა.

მისს იმპერატორებითს დიდებულებას მიუღია რა კეთილ-წყობითა უქვეშევრდომილესი წარდგინებაჲ მისის მაღალ-აღმატებულებისა განწესებისათჳს საქართველოს თავადთა და აზნაურთა თათრების ხალხის მოურავებად, უმაღლესად უნებებია დამტკიცებაჲ მისი, და მიუცია უფლის უპირატეს მმართებლისათჳს ნებაჲ გამორჩევისა.— მისი მაღალ-აღმატებულება არა იჭვნეულებს, რომელ საქართველოს კეთილ-შობილნი მიიღებენ მისის მხრითგან მეცადინობასა ამას დამტკიცებად, თუ რაოდენ დარწმუნებულ არს იგი უფალი უპირატეს-მმართებელი ერთგულებასა, გულს-მოდგინებასა და შემძლებელობასა ზედა მათსა, და რომელ მისის მაღალ-აღმატებულებისათჳს მარადის სასიამო არს შეწევნაჲ დირსთა.

ერთხელ მივდიოდით მე, აბბატ-მორელე და მარმონტელი ქალაქს გარეთ ერთს ჩვენს მეგობართაგანთან, და გზის შემოკლებისა რომ გვინდოდა, ამისთჳს კოდლითურთ ეცადინობდით ჩვენის თავისა შექცევას და როდესაც მარმონტელ უმეცრად დიად მოწყენაა შეიქმნა, მაშინ მე გაკვირვებულმა ვჰკითხე მას რა დაგემართა და ასე მოწყენით რატომ ხარ ამ დროში, როდესაც მუზანი ეგონებ თანხმად არიან შენის ბედნიერების მოსაწრაფებელად მეაიქი? თქვენთჳს კარგია აგრე თქმა, მიპასუხა მან; თქვენ გყავსთ დიდ მშვენიერი მეუღლე რომელიც თქვენ გიყვარსთ, რომელიც თქვენ პატივსცემსთ და დასტკბება თქვენთან თქვენის დიდებითა....; და მე ამ ჩემს დროში ჯერეთ ისევ უცოლო ვარ და არავისთანა მაქვს განყოფა არც ჩემის სიხარულისა და არცა მწუხარებისა, ასე მოწყენით ვარ....; მე ვუპასუხე ცოლი შეირთე მეთქი, მან ჰსთქვა: მერწმუნენით თუ გინდა ამ საათს მე მზათა ვარ, აი აბბატის ძმისწული, აბბატმა წაიმასხა ღიმილით მართლა ურიგო არ იქმნება, და მარმონტელმა ისერით ჰსთქვა მე ამას შორს არ დავიჭერო და მე დავიმახსე აგრე იყოსმეთქი და სიცილით დავხვდი, და ორის კვირის შემდგომად მარმონტელმა შეირთო ცოლად აბბატის ძმისწული.

მე დიდი მეგობარი ვიყავ ადვოკატის კოშელე დე მონსეპიერისა, მაგრამ შემდგომმა მოახრობამ ჰქმნა ჩვენზედ ამისთანა შთაბეჭდვა, რომ მე სრულიად გავსწყვიტე მასთან ჩემი მოკიდებულება, ჩვენ ერთად მივედით ერთს სახლში ვახშმად, რომელშიდაც სახლის პატრონმა ქალმა მოიწვია მრავალნი მახვილგონიანნი და თჳთ სანდომიანნი დედაკაცნი, ადვოკატი კოშელე დაჯდა სტოლზედ და თუმცა ამისთანას შემთხვევაში ჩვეულებრ მხიარულად იქმნებოდა და უყვარდა ლაპარაკი; მაგრამ იქ არცა ერთი ლექსი ჰსთქვა მხოლოდ იმას გარდა, რომ უბრძანებდა თავისთან შემწვრებისა და გაცვლებულების მოტანასა; ჰსჭამდა მათ და თჳთ კიარცა ჰსჭამდა; არცა სვამდა და არც მონაწილეობდა სასიამოვნოს ლაპარაკში, ამისთჳს რომ საზოგადოება იყო დიად

მანათობელი და ჩინებული. პირველად აღმოჩენის ქცევა უყურადღებოდ იყო დატოვებული; მაგრამ სახლის პატრონმა რომელსაც შეატყო რომ არც ერთის სინიდამ არ იღებდა თავისთვის თეფშებზედ საჭმელსა, დასასრულში უთხრა მას,, "უფალო კოველე: თქვენ სულ ჰსჭვრით და თქვენკი არასა ჰსჭამთ, განა მხოლოდ იმისთვის მობრძანდით თქვენ ჩვენთან, რომ ჩვენის ნაშრომის ადგილი დაიჭიროთ! ეგრეთვე მრავალთა სტუმართაგანთა გაუკვირდათ ესე. მაგრამ დარწმუნებულმა კოკლემ ამოიღო ჯიბიდამ ბარათი, მიუბრუნდა მოსაუბრეთა თვისთა და უთხრა აი აქ ვისაც ჰნებავს შეიძლება დამტკიცება იმისთვის, რომ ჩვენს საყვარელს სახლის პატრონს ქალს ჩვენგან დაჭირის შემძლებელობის იმედი ჰქონდათ აქ ასე ჰსწერია; იმის მაგიერად ღედაკაცს დაეწერა..... ძრიელებისაგან ის ღედაკაცი ავად შეიქმნა და ყოველმა საზოგადოებამ არა თუ მოიწონა მოძღვრის მზაკვრება, არამედ უდიდესი მონაწილეობა მიიღო ღედაკაცის უსიამოვნოს მდგომარეობაში.

---

ახლა ვიტყვი ჩვენის ცხოვრების უმწარესს ამბავს. სამთა ჩემთა მშვენიერთა ქალთაგანი უფროსი იყო ივ. წლისა. ვინც იცნობდა მათ, რა საკვირველის მოიგონებს, თუ როგორ სანდომიანნი იყვნენ ისინი. ზამთარში სტუმრობა ჰქონდა ერთმა ჩემმა საკმაოდ მცნობმა ქალმა, და იქ მყოფთა ქალთა ჩემთა თვს ზედა მოიზიდეს სრულიადის საზოგადოების თვალნი, თვალ-რიდამ იმათის შემდგომად მე შევედ ზალაში, და ვნახე, რომ ისინი ტანცაობდენ, და აკვირვებდენ ყოველთა სიმარჯვეთა თვისითა; დედა მათი იჯდა მოშორებით და იმათ თვალს არ აშორებდაკიმათის მშვენიერს მას მხიარულება ეწერა სახეზედ. მე მიველ მუხართან: იქ იდგა მოყუდებული ვიღაც კაცი, დიდ სასტიკის სახისა და იმან დიდ დიდს ხანს დაუწყო ჩემს შვილებს ყურება, მაგრამ ის კმაყოფილებაკი არ ჰქონდა რომელთანაც სრულიად საზოგადოება უყურებდა გა-მოცდილება ქალთა ჩემთა, და იმისი შეჭმუხნვილი სახე ვერა რამ გაასწორა, ერთი მინუტი რომ გაიარა, მაშინ მობრუნდა ჩემკენ და მკითხა: თქვენ ვერ იცნობთ ამ ყოვლად მშვენიერს ქალებსა? მე უნდა მეთქვა მამობა იმათი, მაგრამ არვიცი რამ დამაყენა, რომ ასე არ ვუთხარ, და ვუპასუხე, ეს ორნი დანი ვგონებ ერთის დედმამის შვილები არიან მეთქი. მან უყურა მათ მთელს ორს საათს, და ჰსთქვა მეც აგრე მგონია, და წარმოიდგინეთ რომ მთელს ამ დროში მგონი დაუსვენებლად ტანცაობდენო. თქვენ ხედავთ, ყოვლის მხრიდამ ასეთი სახურველი ქება აქვსთო, რომ შეუძლებელი არის უმეტესის სანდომიანობისა და სიახლის ქონებაო.

ჩემმა მოძღურმეგულმა კანკალი დაიწყო სიხარულით, და რომ მინდოდა გამეცა ჩემი თავი. და მეთქვა იმათი მამობა, ამ სასტიკმა კაცმა აღარ დამაცალა, და თვითონვეთ მითხრა მერწმუნენით მე [illegible], რომ ეგ შენი შვილები სამს წელიწადში აღარ იქმნებიანო.

ეს წინასწარმეტყველური სიტყვები მე მეხად მეჩვენნენ. და ეს რომ სთქვა წავიდა, მე მინდოდა გამოვსდგომოდი მას, მაგრამ როგორც გაქვავებული ადგილიდამ ველარ დავიძარ, მერმე მრავალთა ვკითხე ის კაცი, მაგრამ იმისი სახელი ვერავინ მითხრა, და მე მხოლოდ ეს შევიტყვე, რომ ის თავის თავს უძახის ლაფატერის შეგირდს.

საზარელი წინასწარი თქმა აღსრულდა, სამის წლის შემდგომად არც ერთი ქალი აღარ დამრჩა. პეტერბურღის მცხოვრებთაგანთა მრავალთა ჯერაც ახსოვსთ ორის ქალის სიკვდილი, რომელნიც სიჭაბუკითა და მშვენიერებითა აკვირვებდენ და რომელთაც განცხრომა სათამაშოდ ჰქონდათ, მაგრამ განცხრომამვე საფლავად მიიყვანა ისინი, მშობელნი მაშინ მხიარულებდენ და აწ ტირიან.